ლენტეხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

სივრცით - ტერიტორიული

დაგეგმარებისა და ინფრასტრუქტურის კომისიის

სხდომის ოქმი N 03

დ. ლენტეხი 16 . 06. 2025 წ.

2025 წლის 13 ივნისს დღის 12 საათზე ჩატარდა ლენტეხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სივრცით - ტერიტორიული დაგეგმარებისა და ინფრასტრუქტურის კომისიის სხდომა.

სხდომას ესწრებოდნენ კომისიის თავმჯდომარე სოსო ავალიანი, კომისიის წევრები: დავით პირველი, მევლუდ ლიპარტელიანი, გიორგი შავრეშიანი, ირაკლი ქურასბედიანი და კომისიის სხდომის მდივანი თეა ქურდიანი. აგრეთვე სხდომას ესწრებოდნენ მოწვეული სტუმრები: ლენტეხის მუნიციპალიტეტის მერის მოადგილე ზვიადი ლობჟანიძე და მერიის ზედამხედველობის სამსახურის უფროსი სპეციალისტი ქეთინო ფიცხელაური.

კომისიის თავმჯდომარემ სოსო ავალიანმა კომისიის წევრებს გააცნო დღის წესრიგი:

1. ინფორმაციის მოსმენა ლენტეხის მუნიციპალიტეტში მიმდინარე ინფრასტრუქტურული პროექტების მიმდინარეობის და ხარისხის შესახებ.

მოისმინეს: მერის მოადგილემ ზვიად ლობჟანიძემ კომისიის წევრებს მიაწოდა სრული ინფორმაცია მუნიციპალიტეტში მიმდინარე პროექტების შესახებ. აღნიშნა, რომ მოსახლეობის თხოვნით შეიცვალა რამდენიმე პროექტის დასახელება. (თანხობრივად არ შეცვლილა). ეს პროექტებია.

1. ლენტეხის მუნიციპალიტეტის სოფ. ლეკოსანდში შიდა სასოფლო გზის რეაბილიტაცია;
2. ლენტეხის მუნიციპალიტეტის სოფ. ბაბილში ბეტონის საფარიანი გზის და სანიაღვრე არხის მოწყობა;
3. ლენტეხის მუნიციპალიტეტის სოფ. ხელედში თამარ მეფის სახელობის ეკლეესიის მიმდებარე ტერიტორიაზე ტურისტული ინფრასტრუქტურის მოწყობა;
4. სოფ. მუწდიში ბეტონის საფარიანი გზის მოწყობა;
5. კურორტ მუაშიდან ზაგარომდე გზის აღდგენა-რეაბილიტაციის სამუშაოების შესრულება. საერთო ჯამში თანხა შეადგენს 831, 191 ლარს.

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ საერთო ჯამში შესრულებულია სამუშაოების 30%.

რაც შეეხება პროექტებს:

სოფ . თეკალში წყალსადენის რეაბილიტაცია, დაბა ლენტეხში ლადო მუსელიანის სახელობის მხარეთმცოდნეობის მუზეუმის კეთილმოწყობა და ბილიკების მოწყობა,სოფ. თეკალში სკვერის მოწყობა და მუწდიში წყალსადენის მოწყობა დადებულია ტენდერზე.

შეკითხვები:

1. ირაკლი ჭურასბედიანი - სოფ. ლებოჩიკი თუ არის ბეტონის საფარიანი გზის გაკეთება გათვალისწინებული?

   პასუხად მომხსენებელმა აღნიშნა, რომ მხოლოდ სოფ. ბაბილშია გათვალისწინებული ბეტონის საფარიანი გზის დაგება;

2. ზურაბ ონიანი- სოფ. სასაშში მთავარანგელოზის ეკლესიასთან მისასვლელი გზა ჩაწყვეტილია და თუ არის გათვალისწინებული ეს საკითხი?

   პასუხად მომხსენებელმა აღნიშნა, რომ ეს საკითხი გათვალისწინებული იქნება სამომავლო ინფრასტრუქტურულ პროექტებში.

   მომხსენებელმა პასუხი გასცა ყველა დასმულ სეკითხვას.

   კომისიის წევრება იმსჯელეს და გადაწყვიტეს: საკითხი გატანილი იქნას საკრებულოს ბიუროს სხდომაზე.

სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარების
და ინფრასტრუქტურის კომისიის
თავმჯდომარე: /ს. ავალიანი/